№ 104 მაისი 20, პარასკევი 1888 მაისი 20, პარასკევი № 104

# ივერია

1877—1888 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . . . . | 10 | — | 6 . . . . . . | 6 | — |
| 11 . . . . . . | 9 | 50 | 5 . . . . . . | 5 | 50 |
| 10 . . . . . . | 8 | 75 | 4 . . . . . . | 4 | 75 |
| 9 . . . . . . | 8 | — | 3 . . . . . . | 3 | 50 |
| 8 . . . . . . | 7 | 25 | 2 . . . . . . | 2 | 70 |
| 7 . . . . . . | 6 | 50 | 1 . . . . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

კვირას, 22 მაისს, მუშტაიდის ბაღში დანიშნულია

## ს ე ი რ ნ ო ბ ა

და

## ლატარია-ალლეგრი

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ.

სხვა ყოველივე დაწვრილებით მოხსენებული იქნება აფიშებში.

(5—3)

ამ თთვის 16 კანცელარია ტფილისის გუბერნატორისა გადატანილ იქმნა ახალს სადგურში, ლაბორატორის და ერმოლოვის ქუჩების შესართავთან, თავ. ერისთავის სახლში. ვისაც რაიმე საქმე, ან სათხოვარი რამ აქვსთ, შეუძლიანთ გამოცხადდნენ კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმის გარდა, დილის 10 საათიდგან 12 საათამდე.

წლიური საერთო კრება «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების მე-11 §-ისა, დანიშნულია ამ წლის 20 მაისს, საღამოს 8 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1887 წელს;

ბ) მოხსენება საერაუდო ხარჯთ-აღრიცხვაზე 1888 წლისათვის;

გ) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა;

დ) არჩევანი საზოგადოების თავ-მჯდომარისა და წევრებისა;

ე) მოხსენება გამგეობისა, რომ ანგარიშისათვის მიღებულ იქმნას სამოსწავლო წელიწადი სექტემბრიდგან სექტემბრამდე და საზოგადო კრება მოხდეს ხოლმე ოქტომბრის განმავლობაში.

ტფილისი, 19 მაისი

ჩვენა ვსთქვით, რომ ჩვენის ახალ თაობის შექმნაში მოქმედებდა რამდენიმე ძალა, სახელდობრ მთელი საშინაო და საზოგადო ვითარება, საკუთარი და უცხო მწერლობა. თითოეულის ძალის გამოკვლევას ჩვენ აქ არა ვკისრულობთ მხოლოდ ერთი ძალა გამოვყოთ იმ ძალათა კრებულიდგან და ამ ერთს ძალას ჩავუდგეთ კვალში. ხოლო ის-კი უნდა ვაღიაროთ, რომ ეს რამდენიმე ძალა ზოგჯერ ერთმანეთს ხელს არ უწყობდნენ და თუ ამ აზრს მივიღებთ, მხოლოდ მაშინ შევვიძლიან გამოვიცნოთ, რამ დასეტყვა და დანაცრა ჩვენი გრძნობა-გონება და რამ მისცა, ჩვენის ფიქრით, საბუთი ბ-ნს ნ. გ—ლს ისეთი გულ-საკლავი აზრი შეედგინა ჩვენის ახალის თაობის შესახებ.

ძველი თაობა, რომელსაც ეგეთის სიყვარულით და სიამოვნებით იხსენიებს ბ-ნი ნ. გ—ლი, აღზრდილი და განსწავლული იყო რუსულს მწერლობა-მეცნიერებაში და უცხო მწერლობაშიაც, ისიც რუსულის შემწეობით. მაშინ ჩვენი საზოგადოება ხომ გონებით ძალიან დაქვეითებული იყო და საკუთარის ვითარებისა თითქმის არა გაეგებოდა-რა. ნასწავლმა თაობამ, გარდა იმისა, რომ მოჰფინა, რამდენადაც შეეძლო, ჩვენს ქვეყანაში საყოველთაო ნათელი აზრები, ხელი მიჰყო საკუთარს ვითარებას. ამ ორს საგანს ერთსა და იმავე დროს ემსახურებოდა და ამ ნათელის აზრების მიხედვით ჩაუკვირდა ჩვენს ცხოვრებას, აღმოაჩინა ზოგი იმისი ღირსება-ნაკლულევანება და ამით აღძრა იმ დრომდე მიძინებული საზოგადო აზრი. ვინც თვალ ხილული იყო და ყურთა სმენა ჰქონდა, ყველამ შეიგნო, თუ რა იყო მიზეზი ჩვენის დაქვეითებისა, რა იყო ხელ-ჩასაჭიდებელი და საზრუნველი. ასე თუ ისე საზოგადოებამ ცოტათი მაინც იგრძნო, რამდენად საჭიროა საკუთარის ვითარების გამორკვევა და შეგნება. ამის ნაყოფი იყო ისიც, რომ ჩვენმა მწერლობამ ხელი მიჰყო ძველის ვითარებისა და მწერლობის შესწავლასა. საზოგადოების ყურადღება და აზრი მიიპყრო იმანაც, რაიცა იმ დრომდე მივიწყებული და უყურადღებული იყო, და აი მაშინდელმა თაობამ ხელი ჩასჭიდა ამ მივიწყებულსა და საზოგადოებას მისდამი სიყვარული გაუღვიძა. გადაათვალიერეთ საუკეთესო ნაწერები იმ ძველის თაობისა და თქვენ დაინახავთ, რომ ჩვენი აზრი უსაბუთო და ქვიშაზე აშენებული არ არის. მას აქედ თან-და-თან ძლიერდება საკუთარის წარსულისა და აწმყოს შესწავლა, რომლის მნიშვნელობას ვერავინ ვერ უარ-ჰყოფს, რადგანაც ის მწერლობა უქმი და მკვდრად შობილია, რომელსაც საძირკვლად საკუთარის ვითარების შესწავლა არ დაუდვია.

ეს საქმე მოიმოქმედა იმ ძველმა თაობამ და ეს არის უმთავრესი იმისი სამსახური. მას აქეთ, როგორც ვსთქვით, დღითი დღე იზრდება, თუმცა წუნარის ნაბიჯით, ის საძირკველი მწერლობისა, და აი სად არის იმის მიზეზი, რომ ჩვენ თავს დავსტრიალებთ ჩვენს ღარიბს, ახლად ფეხ-ადგმულს ლიტერატურას.

ჩვენ აქ ვეცადეთ დაგვედგინა, რომ ეხლანდელი მწერლობა შთამომავალია იმ ძველის მწერლობისა და თუ ამ შთამომავალს უსაყვედურებს ბ-ნი ნ. გ—ლი ძველისა და ახალის მწერლობით გატაცებას, არც ის უნდა დაეკიწყნა, რომ ეს დანაშაულობა ძველის, თერგ-დალეულთა თაობის საქმეა. ამიტომაც საბუთი არავისა აქვს სთქვას, ვითომ ახალის თაობის მწერლობას ნათესაობა არა ჰქონდეს ძველს მწერლობასთან.

როგორც ჰხედავს მკითხველი, ძველის თაობის მწერლობამ თავისი ფერი დასდო ახალსაც, შესამჩნევი გავლენა იქონია ახალზე და ამ გავლენას ვერას გზით ვერ მივიჩნევთ მავნებელ გარემოებად. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ საკუთარის ვითარების საფუძვლიანად შესწავლა ჩვენში ნელის ნაბიჯით მიდის წინ. ამას ბ-ნი ნ. გ—ლიც ჰმოწმობს, როცა ამბობს, რომ, რაკი ეხლანდელი თაობა უცხო ენაზე ლაპარაკში ყბას მოიღლის, მხოლოდ მაშინ წაავლებს ხელს ქართულს ენას, ვითარცა მდაბიო და სამასხარო ენას, თუმცა „სიტყვით ყველგან ჰყვირის, რომ ქართულისთანა ტკბილი, ყურისათვის სასიამოვნო, მდიდარი და ყოვლად შემკობილი ენა მთელს ხმელეთზე არც დაბადებულა და არც დაიბადებაო“.

თუ ჩვენ ქართულს ენასაც-კი ამ რიგად ვეპყრობით, რასაკვირველია, ყველა იმას უნდა ჩაგვჩიჩინებდეს: ისწავლეთ ქართული ენა და მწერლობა, გამოირკვიეთ საკუთარი ვითარება, თორემ უამისოდ მწერლობის წარმატება ყოვლად მოუხერხებელი და შეუძლე-

## ფელეტონი

### მამიდა ასმათი

ამბავი.

ჰულდენი ციცინათელას.

(შემდეგი)[*]

III

როგორც მამა დამარხეს, ასმათსა და როსაფს დიდი ალიაქოთი შეუდგათ.

— მე შენ არ შეგარჩენ დედის ჩემის დანატოვარს გულის-ქინძისთავს და ბეჭედს. ჯერ მამა არ მანებებდა თავის სიცოცხლეში და ახლა შენ გადამიმალე. მომეცი ჩემი, რას მეჭიდები — ეკაპასებოდა ასმათი თავის ძმას. კვირა ერთი იყო და ასმათის აწჩხლობა დღე-ღამეები. მისმა გესლიანმა ენამ რამდენი ცუდი არ აკადრა როსაფის ოჯახს? მის ცოლს, თავის საკუთარს რძალს, როსკიპობას სწამობდა, თვითონ მას ათას ნაირს ქურდობას, ცრუ-მოწმობას, ქრთამს, ხაზინის გატეხას და ვინ მოთვლის, რამდენს სხვა სიცუდე-კაცებს. როსაფმა ჯერ ბევრი უთმინა, ბოლოს რომ ველარა მოახერხა-რა, ასმათი ვერ დააოკა, ერთ ამგვარ ჩხუბის დროს, როსაფმა წამოავლო მათრახს ხელი და ერთი ორიოდე სცხო თავის დას. მაშინ იკადრა ასმათმა მოკურცხლა შინისკენ, მაგრამ იქვე დაექადნა: „თუ ქალი ვყოფილვარ, ძვირათ დაგიჯენ ჩემს გალახვასაო“. აი, ამას შემდეგ ოთარმა ხშირად დაიწყო სიარული ასმათის ოჯახში. მისთვის იქ მუდამ მზათ იყო კარგი ლადარში ჩასმული პურები, კარგი მწვანის ღვინო, კარგი შემწვარი ვარია. როცა ოთარი შექინქლილდებოდა, მერე მოჰყვებოდა როსაფზე მუქარას: „ასმათო, დარდი ნუ გაქვსო, მე ვიყრი იმაზედ შენს გულის ჯავრსო“. ამასობაში სოფლად გავარდა ხმა ასმათისა და ოთარის საიქვო დამოკიდებულებაზე: ვინ იცის, რამდენს რას არ აჭორებდენ. ზოგი ამბობდა, სოფლის ვახშმობას შემდეგ ოთარი ასმათის სახლში მიიბუზება ხოლმეო და მამლის ყიულზე შინ ბრუნდებაო. ამ ჭორებმა მიაღწია ასმათის ყურებამდის; ოთარის ცოლმაც შეიტყო. თუმცა იმას ეს ამბები არ სჯეროდა, რადგან ასმათთან კარგს განწყობილებაში იყო. თითოეული ჭორი ისე უშვერად იყო შეთხზული, რომ ოთარის ცოლს ძალიან ადვილათ შეეძლო მისი სიცრუე დაემტკიცებინა. თვით ქვრივის საქმე მოქმედებამაც ცხადათ დაანახვა ოთარის ცოლს თავის უბრალოება.

ერთხელ ქვრივმა შეიკერა დიდი განიერი პერანგი, რომელშიაც ორი კაცი კარგათ მოთავსდებოდა. დაიბარა მოძღვარი, მოიპატიჟა ოთარის ცოლი და მეზობლები. ოთარიც იქ იყო. ასმათმა უთხრა ოთარს: „მე— დედა და შენ—შვილიო“. მერე გადიცვა ტანისამოსზე დიდი პერანგი, შიგ ოთარი გააძვრინა, შემდეგ გადმოაგდო ძუძუ და ზედ კბილი დაადგმევინა. მოძღვარმა აიაზმის წყალი უკურთხა. ამას შემდეგ ყველა დარწმუნდა, რომ ოთარი ასმათის ნამდვილი შვილობილი ყოფილა. ამიერითგან ოთარის ცოლიც ასმათის რძლათ იგდებდა თავს. მტრები-კი მაინც იჭვის თვალით უყურებდენ ამ ამბებს

ეს მეხუთე წელი გადიოდა, რაც ასმათი დაქვრივდა. ქმრისაგან კარგი მამული დარჩა და უშვილოც იყო. ბევრს უადგილ-მამულო აზნაურს ჩრჩებოდა თვალი მის ქონებაზე, მაგრამ მას შერთვას მაინც ვერავინ ჰბედავდა, რადგან ქვრივის სიავე ყოველგან იყო ცნობილი. ქმრის უდროოთ სიკვდილს ყველა ცოლს აბრალებდა. „მოინელა ის საწყალი კაცი, უდროოთ ჩასდო საფლავშიო“, — ამბობდენ მეზობლები. თვითონ ასმათი-კი გულახდით სწუხდა ქმრის დაკარგვას. მის ოჯახს უკაცობა უფრო ახლა დაეტყო, როცა ასმათი ნაყმევებმა დაიბრიყვეს და შემოსავალს სრულად არ აძლევდენ. მას ეჭირვებოდა ერთი ვინმე ფხიანი მოურავი, თუ ნადელების ასაღებათ, თუ ადგილების გასაცემათ, თუ საჩივრების ასატეხათ. ამაებში ოთარი ძალიან მარჯვე იყო. ასმათიც არ რჩებოდა ხელ-ცარიელი. ამიერითგან ოთარის ცოლ-შვილი სულ ასმათის წყალობით რჩებოდა.

ასმათს გული ძალიან სტკიოდა, რომ მისი ძმა როსაფი საპარტახე ახოს აღარ ანებებდა. ეს მესამე წელი იყო, რომ ის ახო გლეხებს სანახევროთ ეძლოთ როსაფისაგან. მისი და-კი გულზე სკდებოდა, ჩემ საწილო ადგილს ჩემი ძმა როგორ სარგებლობსო?..

მარტის დამდეგი იყო, საღამოს ოთარი მოვიდა ასმათისას.

— ოჰ, ისე შენ გაგახაროს დედაშვილობის გამჩენმა ღმერთმა, როგორც მე შენი მოსვლა გამეხარდა, — შესძახა ასმათმა მხიარულათ.

— რაო, დედა, რა ამბავია?

— ჯავრისგან აღარ ვარ. თუ წრეულსაც ის მამაჩემის დანატოვარი საპარტახო როსაფის გლეხებმა დამიხნეს, სევდას ვერ გადავურჩები.

— ნუ დაახნევინებ და ის იქნება.

— რითი, ჩემო შვილო?.. ქვრივოხერს რა შემიძლია, როგორ უნდა ვუწინააღმდეგო?..

— თუ აგრეა, მე გადმამეცი, მე ვიშოვნი კაცებს, ბარე ათი სახელმწიფო გლეხი მეხვეწება, სამუშაო ადგილები აგვაღებინეო.

— მიშველე, ჩემო ოთარ, დედაშვილობის გამჩენმა ღმერთმა მოგიწყოს ხელი.

— ბატონი ბრძანდები. ამიერიდგან ყვავსაც აღარ გადავაფრენ ზედ.

— დღეს სამი მარტია. თუ ამისთანა დარებმა წაიარა, შუა მარტამდის ყანები უნდა დაიხნას. რაღას უყურებ?.. ბარემც გაურიგდი იმ გლეხებს, როსაფის ნაყმევებმა რომ აღარ მიგასწრონ.

— მაშ დამიწერე ბარათი, რომ ის პარტახი ჩემზე გაქვს სასარგებლოთ გადმოცემული. მერე მე ვიცი. თუ კაცია და ვინმე მოჰბედავს იქა.

— ახლავე, ჩემო შვილო, — უპასუხა ასმათმა და წავიდა საწერ-კალმზე.

IV

აღდგომას მიწურული იყო. ოთარი ემზადებოდა თანდილაანთსა სტუმრობას. იმას ერთი ახირებული ჩვეულება სჭირდა. როგორც გაზაფხულის სული მოაწევდა, იმიც ნავარდს ჰკრავდა თავის სოფლიდან. სად არ დადიოდა!.. გორიდამ ფოთამდის მისი სანავარდეთი იყო. განსაკუთრებით უყვარდა ზესტაფონში და ქუთაისში ყოფნა. ნაგაზი რომ საყასბოზე მიეჩვევა, ისე იყო ოთარი სამიკიტნოებში გაწუწკებული. ერთხელ რომ ვისმე სალამი მიეცა, მეორეთ გულის ბიძაშვილათ გაუხდებოდა. დღე არ გავიდოდა, რომ ის სამიკიტნოში ვისმე პურის ჭამათ არ შესწრებოდა. ოთარმა იცოდა დრო და კაცი. იმ დროს მიადგებოდა, როცა მასპინძელი ღვინით იყო შექინქლილებული და სტუმარს ნატრობდა. „ოჰ, ოთარ, ღმერთმა ბევრს კარგს შეგასწროს, მობძანდი, მობძანდი!“ — უძახოდა გამხიარულებული მასპინძელი. ოთარსაც ეს უნდოდა. მიეიდოდა, მოუჯდებოდა გვერდით და სტუმრული მორცხობით შეჰყვებოდა საქმეს. მასპინძელი-კი თან-და-თან იწვევდა ოთარს მხიარულებისათვის. ბოლოს იმდენზე მიდიოდა საქმე, რომ სანამდის მასპინძლის ჯიბეს სიქა არ გავარდებოდა, სტუმარ-მასპინძელი ერთმანეთს არ გამორდებოდენ. როცა ორივე კარგა ლაზათიანათ გამობრუჟდებოდენ, ოთარი ერთ-ორ მანეთს დაესესხებოდა მასპინძელს და მერე სხვა მხრით შეუტევდა. იმერეთიდან ქართლს გადაიდოდა, იქიდან ცხინვალის მხარეზე იცოდა გამგზავრება. იქ ახლო-

[*] იხ. „ივერია“ № 101.

ბელიათ. მართლაც, ბ-ნს ნ. გ—ლს სამართლიანად შეუნიშნავს ქართულის ენისა და საკუთარის ვითარების ნაკლებად ცოდნა ჩვენის ახალი თაობისათვის. მხოლოდ ის უნდა ვაღიაროთ, რომ ის ცოდნა ენისა და მწერლობისა, რამდენიც დღეს გვაქვს, უმთავრესად ისევ ძველის მწერლობის საქმეა. რაც გვაკლია, იმას ძველს მწერლობას დანაშაულებად ვერ ჩამოვართმევთ, რადგანაც ეს ნაკლი სხვა გარემოებათა საქმეა და არა ძველის მწერლობისა. ერთის სიტყვით, მწერლობა ყველგან ვერ მისწვდა და ვერ შეემკლავა ზოგიერთს საშინაო და საზოგადო გარემოებასა. აქედგან, ჩვენის აზრით, ცხადია, რომ ჩვენი ახალი თაობა, რომელსაც სჭირს ზოგიერთი სენი, ბ-ნ ნ. გ—ლის მიერ აღნიშნული, დაისეტყვა და დაინაცრა იქ, სადაც მწერლობა ვერა სწვდებოდა. ჩვენთან ერთად ამ გარემოებას ბ-ნი ნ. გ—ლიც ჰმოწმობს, როცა შემდეგს ამბობს: „რადესაც მთელს თაობას აზრი არა აქვს, გინდ პეტერბურგში გაგზავნე, გინდ პარიჟსა და გინდ ბერლინში, ვერსაიდგან ვერაფერს გამოიტანს... მიზეზი უთავ-ბოლო ხეტიალისა ის არის, რომ ჩვენი ახალი თაობა უაზროა, უსაგნოა“... როგორც წინა წერილში ვსთქვით, სხვა ქვეყნებში უმეტესად ჯერ კიდევ უმაწვილებს ვზავნით, რომელთა ავი და კარგი უფრო სხვა ძალზეა დამოკიდებული, ვიდრე მწერლობაზე.

## ახალი ამბავი

*** დღეს, 20-ს მაისს, საღამოს შვიდს საათზე, დანიშნულია სადგილ-მამულო ბანკის დარბაზში წლიური კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“. კრებაზე განიხილავენ წლიურს ანგარიშს საზოგადო მოქმედებისას და კრებას მოხსენდება მორიგი საქმეები.

*** ოთხშაბათს, 18 მაისს, ტფილისის სახელმწიფო თეატრში ჩვენმა სათეატრო დასმა წარმოადგინა ახალი პიესა. ავ. ცაგარლისა „ციმბირელი“ და ვოდევილი „დატრიალდა ჯარა“. ხალხი საკმაოდ ბლომად დაესწრო. არტისტები, ორიოდეს გარდა, კარგად მომზადებულიყვნენ, როლები კარგად დაესწავლათ და ძალიან სცდილობდნენ, თავ-თავისი როლები უნაკლულოდ შეესრულებინათ. საზოგადოებას მეტად მოეწონა ქ-ნის საფაროვის როლიცა და თამაშობაცა. თვით ავტორიც, ბ-ნი ავ. ცაგარელი, მონაწილეობას იღებდა თამაშობაში და ერთი უკეთესი როლი კავკაველის პეტუასი იმან შეასრულა. ბ-ნმა კ. ყიფიანმა, ქ-ნმა გაბუნია-ცაგარლისამ და ვ. აბაშიძემ თავისი ნიჭი და ხელოვნება არ დაიშურეს ამ საღამოს და ითამაშეს, რამდენადაც როლი ნებას აძლევდა. დანარჩენთაც არა დაუშავებიათ-რა, მეტადრე ბ-ნს ივ. ცაგარელს. ენა ემმოდათ, ცოტა არ იყოს, მხოლოდ ბ-ნს მაქსიმიძესა და ქ-ნს თამაროვისას.

*** გუშინდელს ახალს ამბავში სადგილ-მამულო ბანკის უკანასკნელის კრების შესახებ ჩვენ იმ კაცთა სიაში, რომლებმაც კენჭი იყარეს ზედამხედველის კომიტეტის წევრობაზე, შეცდომით არ მოგვიხსენებია ბ-ნი მიხეილ ყიფიანი, რომელსაც ამოუვიდა 89 თეთრი კენჭი და 33 შავი.

*** ეს ეს არის დასრულდა ტფილისის სადგილ-მამულო ბანკისა და მოსწავლეთა დამხმარებელ აზნაურთა საზოგადოების კრება და ამათ დღეს, 20-ს მაისს, მოჰყვება თავად-აზნაურთა კრება კლუბის დარბაზში.

*** ჩვენ გვწერენ ოდესიდგან: წელს პატივცემულმა პროფესორმა, ბ-ნმა ვ. მ. პეტრიაშვილმა, განიზრახა გააცნოს თავის მსმენელებს ზოგიერთი წარმოება, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვსთ ტეხნიკურის ქიმიის შესასწავლადაო, მაგალითად ნავთის წარმოება, ქვა-ნახშირისა, შავის ქვისა და სხვა. ამ წარმოებათა შესასწავლად ბ-ნი პეტრიაშვილი რამდენისამე სტუდენტითურთ ამ ზაფხულს წამოვა კავკასიაში. ამ კეთილის განზრახვის შესასრულებლად უნივერსიტეტის მთავრობამ უსაგზლა ბ-ნს პეტრიაშვილის მსმენელებს-სტუდენტებს ორასი მანათი; აგრეთვე შავის ზღვის გემების მმართებლობამ და ამიერ კავკასიის რკინის გზის მმართებლობამ, უნივერსიტეტის თხოვნით, უფასოდ დაუთმეს სტუდენტებს გზის ბილეთები.

ექსკურსიაში მიიღებენ მონაწილეობას ბ-ნ პროფესორი პეტრიაშვილი თავის ლაბორანტითურთ და ოცი მეოთხე კურსის სტუდენტი. პირველად ექსკურსიას ჰსურს გამოიკვლიოს ტყიბულის ქვა-ნახშირის წარმოება, შემდეგ რგანსა და ჭიათურაში შავის ქვის წარმოება; მერე ტფილისში ჰსურთ დაათვალიერონ საუკეთესო ღვინის სარდაფები და ბოლოს ბაქოში—ნავთის წარმოება.

ექსკურსია დაჰყოფს კავკასიაში ერთ თვემდე. იმედია, ზემოხსენებულის ადგილების მკვიდრნი აღმოუჩენენ ყოველ გვარს შემწეობას ბ-ნის პეტრიაშვილის განზრახვას. ექსკურსია გაგრძელდება ივნისის პირველ რიცხვებიდამ ივლის თვის დამლევამდე.

*** სოფ. მარტყოფი: ამ მოკლეს ხანში ჩვენ უნდა ავირჩიოთ სოფლის მოხელეები. საზოგადო სურვილი ის არის, რომ, თუ შესაძლო იქნება, ახალი კაცები ავირჩიოთ, რადგანაც დიდი ხანია გვსურს ძველებს თავი დავუკრათ და გამოვემშვიდობოთ. ძველის მოხელეებისათვის, რასაკვირველია, ეს მაინცა და მაინც სასიამოვნო არ არის და ამიტომ რაც დღევანდლამდე დაჰკლებიათ, სცდილობენ ეხლა შეივსონ. ალბად ჰფიქრობენ: «სანამ თქვენი უნდა სთქვათ, იქ ჩვენიც არ დაივიწყოთო».

*** ჯვრის მამა: ამ თვეის 9-ს ძლივს ეღირსა ჯვრის ეკკლესიას კურთხევა. ეკკლესია სდგას მდინარე მტკვრის მარჯვენა კიდეზე, სწორედ იმ ალაგას, სადაც მდ. არაგვი ერთვის მდინარე მტკვარს; ეკკლესია ქვისაა, რუსულ-ბიზანტიურ სტილზედ აშენებული, და უღირს მთავრობას, ვგონებ, არა ნაკლებ ორის ათასის თუმნისა. ეკკლესიის აშენების აზრი და თვით შენება ეკუთვნის სწორედ იმ დროს, როდესაც მმართებლობა სცდილობდა ამ ალაგას ქალაქის გაშენებას. ეკკლესია აკურთხა ორის მღვდლის დასწრებით ბაქოს გუბერნიის ბლაღოჩინმა, მ. ალექსანდრე იუნიცკიმ. კურთხევაზე დაესწრნენ ბაქოს გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგებელი, ბ-ნი ვასილიევი, ჯვრის მაზრის უფროსის თანაშემწე, ბ-ნი მოსეეჩი, ადგილობრივი მომრიგებელ-მოსამართლე და სხვანი. ჰმასპინძლობდა ამ დღეს ბ-ნი მოსეეჩი. აქ მცხოვრებ რუსის გლეხ-კაცობისათვის ცალკე ჰქონდათ გამართული სადილი.

*** 17 მაისის ღამეს მე-9 ნაწილის პოლიციელმა ხეთაგუროვმა დაპატიმრა სამხედრო ფელდშერი ნიკოლოზ იაკოვლევი, რომელსაც ხელში ეჭირა მოხელე გლინსკისაგან მოპარული საათი გამლვიძებელ ზარით. დამნაშავე მომრიგებელ-მსაჯულის განკარგულებით დამწყვდეულ იქმნა მეტეხის საპატიმროში, ხოლო საათი-კი დაუბრუნეს გლინსკისა.

*** 18 მაისს, პოლიციის მე-8 ნაწილში, ყაზახის მაზრის სოფ. დირაჩიხის მცხოვრებელი იანეკი მუშაობდა კრივჩოვის ეზოში, მტკვრის ნაპირას, ფეხი გაუსხლტა, ჩავარდა მტკვარში და დაირჩო. წყალ-დიდობის გამო დამრჩვალის გვამი ვერ იპოვნეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

სოფ. ჩხერი (შორაპნის მაზრა), 15 მაისი. წრევანდელი მაისი ჩვენში ძალიან წააგავს გიჟმაჟ მარტის თთვეს, თითქო მაისს ის საქებური თვისება დაუკარგოსო, რომლითაც ყველა თთვეებზე წარჩინებულია. დღეს თხუთმეტი მაისია და პირველ რიცხვიდგან ერთი დღეც-კი სრულიად გამოდარებული არა ყოფილა, სულ განუწყვეტლივ სწვიმს და ღამ-ღამობით იმისთანა სიცივეები არის ხოლმე, რომ თებერვლის თთვეს შეეფერება. მაისის ამისთანა საქციელმა დიდი ზიანი მიაყენა ნათესს ყა-

---

მახლობლების სოფლებში ლუდიაა და არყის გემო ჰქონდა გალებული. ხატობისა და ღვთაობის ანგარიშები მამაო ჩვენოსავით ჰქონდა დაზეპირებული: სად რა დღესასწაული იყო, ან ოსეთში არაყის ხდა როდის იცოდენ, ან ლუდს როდის დააყენებდენ. ოთარი ყოველთვის იმ დროს მიადგებოდა კარზე მასპინძელს, როცა იმას ყოველი სტუმარი უფლისგან მოგზავნილი მოციქული ჰგონია. აი, ამიტომაც უყვარდათ ოთარი გარეთ ყოველგან. მაგრამ მაგიერად შინ არ გაიცდიდენ მეზობლები, რადგან ოთარი ოთოთაანთ ქორივით ირჯებოდა. როცა გარეთ ლუკმა შემოაკლდებოდა, შინაურებს დაუტრიალდებოდა.

აღდგომის დღესასწაულები შავში გაითენა ოთარის ცოლ-შვილმა.

— ამის მეტად არ მახსოვს, ოთარი რომ აღდგომას გარეთ დარჩენილიყოს, — თვალ-ცრემლიანმა ოთარის ცოლმა მიუწუწუნა ასმათსა. მე იმის იმედი უფრო მქონდა, რაკი თქვენს ადგილ-მამულს აიღებდა, მერე შინ მოდგებოდა. წელს სულ გადაირია!

მაგრამ ოთარის მოუსვლელობას მის ცოლზე უფრო ასმათი სწუხდა.

— იმ გაწუწკებულმა პირობა მომცა, სააღდგომოთ უსათუოდ შინ დავბრუნდებიო, — შესჩივლა თავის მხრით ასმათმაც.—სად არის?!. ნეტავ ახალ-კვირას მაინც მოსულიყო. მე რომ საპარტახე ადგილი მიეცი ოთარს, არ გახსოვს, როგორ დამარწმუნა, ყოვესაც აღარ გადავაფრენ ზედო?.. გუშინ-წინ როსაფის გლეხებს ისევ დაუხნავთ და სიმიდი დაუთესიათ შიგ.

ამ დროს უეცრად შემოიღო კარი და ოთარი შემოიჯგიმა. ქალებს უცბათ გადაავიწყდათ საყვედური. ცოლი გადაეხვია.

— კაცო, ასე უნდა?.. შენმა ლოდინმა მოგვკლა, ვინ იცის რამდენი რა წამომიდგა! მე მეგონა, ცოცხალს ველარც-კი განახავდი.

— ჩემი მომკვლელი კაცი ჯერ არ დაბადებულა, უპასუხა ოთარმა.

— მე, კარგო კაცო, სააღდგომოდ ჩამოვალო, რომ დამპირდი, აგრე უნდა?.. ეგ იმედი მქონდა შენი? იტანტალე გარეთ. შენი საპარტახე როსაფის გლეხებმა ისევ დახნეს და კიდეც დათესეს,—უთხრა ასმათმა.

— ეგ უკეთესი,—არ გაიკვირა ოთარმა. დაე, დახნან, დაოშონ, დათოხნონ: როცა ყანა მოიწევა, წავალ, მოვმკი და შინ შემოვიტან.

— მე მაგის იმედი არა მაქვს. როსაფი და მისი გლეხები აღარ დაგანებებენ.

— ვნახოთ, ვისი ხმალი უფრო გაჰკრის.

— აგერ იძახი შენ დღეში და მე შენი დაჭრილი ვერავინ ვნახე.

— აბა, დამაცადე და თუ ვერ გაჩვენებ, შეიტყობ.

— მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერს,—დაცინვით უპასუხა ასმათმა.

— გაყურებინებ,—დაიქადა ოთარმა.

ამ დროს შემოცქრიალდენ ოთარის ბავშვები. პერანგის მეტი ტანზე არა ებადათ-რა.

— მამა, მამა!—შესძახეს შვილებმა, შეახტენ კისერზე და დაუწყეს კოცნა.

— როგორ დატიტვლებულხართ? სააღდგომოთ განა არა შეგიკერათ-რა დედამ?..

— რა მოგვეტანე, რომ დედას შეეკერა?—უთხრეს მხიარულად შვილებმა.

— აი, თუ არ მოგიტანეთ! გახსნა ხურჯინი და ამოიღო სამშაურიანი ჩითები.

— უი, უი, რა ლამაზი პრიალა ჩითებია, გაიხარეს ბავშვებმა. ეს ჩემი საახალუხე იყოს, ამოირჩია ვაჟმა.

— არა, ეს ჩემი საკაბე იყოს,— დაემუშტრა ქალი.

— აი, დედა!—წამოიძახა ვაჟმა.—მამას რომ ემდური, ჩვენთვის არა მოაქვს-რაო. აბა, რა არის ეს?..

— კაი შვილია!.. ღიმილით გააპარა თვალები ცოლმა ოთარისკენ.

— ძალიან ვეცადე—იმართლა თავი ოთარმა,—რომ სააღდგომოთ დაბრუნებულიყავი; მაგრამ რათ გინდა?.. რაი ერთხელვე იმ ტეტიების ხელში კაცი ჩავარდება, თავს როგორ იხსნი?!. დღე და ღამე სულ ლხინში ვიყავი. თარი, ჭიანური, დუდუკი, სიმღერა!.. ზურნის ჭიჭყინმა ყურები დამიჭექა. მერე გიორგობას წამიყვანეს, იქიდან გორს ჩამიყვანეს. ძლივს აქ დავაღწიე თავი. ეს ჩითები გორში ვიყიდე... მართლა!.. თანდილაანთ იოთამმა შენთან წიგნი გამომატანა. რაც დამაბარე, მაღ სწერია იმის პასუხი. გაუწვდინა ბარათი.

— იოთამის პატარა ჭიჭი არ გაზდილა?.. ეშმაკურის ღიმილით ჰკითხა ასმათმა.

— მარიამ!.. ასე ერქვა ოთარის ცოლსა. ხომ იცი, ოთარი ნამგზავრია. მშიერი იქნება. ბიჭს დაუძახე, ღვინო ამოაღებინე, იქ თაროში ერთი ღორის კანჭი ძევს და გაფუებული პურები.

მარიამ საჩქაროთ წავიდა თვადარიგის მოსახდენათ.

— რაო, რა თქვა იოთამმა?—ჰკითხა ასმათმა.

— ასე შემოგითვალა, შენ ოღონ ჩემს ჭიჭის შენი ძმისწული შერთეო და რასაც დაგპირებივარ, აგისრულებო. ოც თუმანს ნაღდად მოგართმევთ, როცა ქალს ხელში მოგვცემთო, სამოცის თუმნის ვექსილსაც დაგიწერთ ერთის წლის ვადითო.

— ჯერ კიდევ წელიწად ნახევარი ვადა აქვთ,—ჩაიცინა ასმათმა. სანამდის თორმეტის წლის არ გახდება ჩემი ნათელა, მანამდის მისი ჯვარისწერა არ მოხერხდება.

ამ დროს მარიამი შემოვიდა და სუფრას გაწყობა დაუწყო. იმათ უცბათ გასწყვიტეს ლაპარაკი.

— შე უბედურო,—უთხრა ქმარს მარიამმა. ამდენი ხანი ოჯახში არ ყოფილხარ, რატომ არ იკითხავ, რა გვქონდა, ან რა გვითბებოდა? შენს ამარა დადგა ჩემი მტრის ოჯახი.

— დედაკაცის საყვედურის რა მეცოდინება,—შენიშნა მკვახეთ ოთარმა.— ნუ გეშინია, ჩემი დედობილი შენ არას გაგიჭირვებდა.

— მის მეტი შენს მტერს ნუ მიეცა, რაც შენს დედობილს ბევრი არა ჰქონდეს-რა. მეც შენი შემჩერე ვარ. რაცლა ორი კვალი ადგილ-მამული მაქვს, ისიც უპატრონოთ მიხდება. წრეულს ნახევარი ნადელიც არ წამომიღია გლეხებისაგან. თუ ჭირნახულის მოწევის დროს გლეხს თავზე არ ადგიხარ, მესამედსაც არ გიჩვენებს. განა ტყუილად მოგანდვე ჩემი მამული?.. ყოველფერს ყური უნდა უგდო. ნეტავი დედაჩემს, შენ თუ კარდა-კარ იარე!.. მე რა?..

— კარგი, დედი, გაათავე ამდენი საყვედური. ეს იყო და ეს. აწ გაისამდის გარეთ აღარ გავიხედავ. სულ ოჯახობაში ვიქნები. აბა, ნახავ, ისე არ გამოვტენო ეს სასიმიდეები, რომ წკნავილი გაჰქონდეს.

— შე უბედურო,—შენიშნა მარიამმა:—რატომ ხარ მაგისთანა ტრაბახა?

— შენ, დედაკაცო, ენა ნუ წაიგძელე. ჩემი ამბავი ხომ იცი.

— ამბავი, თორემ ყურზედ ხახვი არ დამაჭრა,—ღიმილით უთხრა მარიამმა.

— დაგაჭრი-კი არა, მეტსაც გიზამ.

— მასხარა!.. წაუბუტბუტა ცოლმა სიყვარულით.

ოთარს მართლაც მოშივებოდა. ის ჩინებულად შეექცა ღორის კანჭს. ერთი მორჩილი ხელადა ღვინოც ზედ დააყოლა. შვილები გვერდით უსხდენ. ისინიც დააძღო, თვითონაც კარგათ გამოიტიკნა. როცა შექეიფიანდა, მერე მოჰყვა თავის გარდასავალს ქართლში...

ღამე შემოიპარა. ბავშვები წამოხტენ და მამას ეჩიდებოდენ შინისკენ. ერთი ზურგზე შეახტა, მეორე მუხლზე დაუჯდა და წვერებზე ეპოტინებოდა ხელებით. ორივე ერთ ნაირათ ჩასძახოდა: წამოდი, მამა, შინ, წამოდიო.

— დასწყევლა ღმერთმა თქვენი ეშმაკი, როგორ დაგიჟდენ! მოიცადეთ, შვილებო, ცოტას ხანს კიდევ, მოიცადეთ.

— წამოდი, მამა, შინ, წამოდი,— მაინც კიდევ დაუჟინეს შვილებმა. ერთს სახელოში ჩაევლო ხელი, მეორე კისერში ჩაჰფრენოდა.

ოთარი წამოდგა ზეზე, გამოემშვიდობა ასმათს და დაუბარა, რომ ბი-

ნებს და განსაკუთრებით ვენახსა. ასე თუ დიდხანს გასტანა, დიდი განსაცდელი მთელის წრევანდელს სიმინდისა და ღვინის მოსავალსა.

ერთს თვეზედ მეტი იქნება, რაც ჩვენმა მდინარე ჩხერიმელამ იმსხვერპლა ის ყველასაგან ცნობილი ხიდი, რომელიც ბელოგურის სადგურთან იყო და არა ერთხელ ყოფილა მოხსენებული თქვენს გაზეთში. წაიღო ხიდი და მოგვისპო მიმოსვლა გაღმა-გამოღმა; უხიდობა მთელის ხარაგაულის საზოგადოებისათვის იგივეა, რაც კარების დაკეტვაა კაცისათვის და სახლში ჩამწყვდევა. საქმე ასეა, მაგრამ არავინ ყურს არ აპარტყუნებს. ხიდის დეპუტატებსაც სძინავთ და როდემდის ვიქნებით ამ მდგომარეობაში, არ ვიცით, ღმერთმა იცის! როგორც სჩანს, ჩვენმა ახალმა მაზრის უფროსმა ჯერ არ იცის ამ ხიდის ამბავი, თორემ ყურადღებას ათხოვებდა და რაიმე განკარგულებას მოახდენდა, რადგანაც იგი ბევრსა სცდილობს გზებისა და ხიდების შესაკეთებლად.

ერთი მეტად სამწუხარო ამბავი მოხდა ამ დღეებში ჩვენსკენ: 14-ს მაისს სოფ. ბაზალეთში მცხოვრებს აზნაურს, ნესტარიონ მალაქიას ძეს დევდარიანს, წაეყვანა თავისი ცოლი და პატარა წლისა და ნახევრის ვაჟი და მის სათვევად „ვარძიის ღვთისმშობლის“ ეკკლესიაში (ეს ეკკლესია ჩვენზე ათის ვერსის სიშორეზეა). ქალს ბავშვი ხელში ჰყოლია. მიდიოდნენ თურმე ცხენებით, მიადგნენ მდ. ჩხერიმელას, ბელოგურის მახლობლად, და კიდევაც შევიდნენ წყალში. ქალს თვალები აუჭრელებია, ჩამოვარდნილა ბავშვიანად და წაუღია წყალსა. ცოტა ხნის შემდეგ თვით კაციც გადმოვარდნილა (ალბად საშველად) და ისიც წყალს წაუღია. ბოლოს კაცი და ბავშვი მკვდრები გამოუთრევიათ და ქალი-კი ცოცხალი. საბრალო თითქმის ვაგიჟებული იყო ამ ნაირის შემთხვევით და სწორედ რომ საცოდავს სანახაობას წარმოადგენდა. ბავშვი მწარედ დაჩეჩქვილი აღმოჩნდა. რამდენს ამისთანა მსხვერპლს იწირავს ხოლმე ჩვენი ჩხერიმელა უხიდობის გამო, მაგრამ, ვინ იცის, როდის მოველით გონს და გავაკეთებთ კარგსა და მკვიდრს ხიდსა?

ჩხერელი

◆◆

# რუსეთი

† ვ. ნ. ანდრეევ-ბურლაკი

რუსეთის პროვინციის სცენისათვის დიდი დანაკლისია კაზანში გარდაცვალებულის არტისტის ანდრეევ-ბურლაკის სიკვდილი. ბურლაკი ჯერ ორმოც-და-ათის წლისა არც-კი იყო; დაუღონებელმა აქეთ-იქით სიარულმა, ერთის ალაგიდგან მეორეში გადახიზნვამ, დაუდევნელმა ცხოვრებამ და სამუდამო ზრუნვამ ლუკმა პურზედ ბოლო მოუღო ამ ნიჭიერს ადამიანსა.

ანდრეევ-ბურლაკს თითქმის მთელი რუსეთი იცნობდა. ვინ იცის, თავისს სიცოცხლეში სად არა ყოფილა, სადა არ უჩვენებია თავისი ნიჭი! კავკასიაშიაც რამდენჯერმე იყო. განსვენებულს დიდი ნიჭი ჰქონდა კომიკურს როლებში და ამ მხრივ საუკეთესო არტისტად იყო ყველასაგან აღიარებული. ზოგიერთმა როლმა, მაგალითებრ როლი სჩასტლივცევისა ოსტროვსკის „ტყეში“, იუდუშკასი „გოლოვლევის ოჯახში“, პოპრიშჩინისა გოგოლის „შეშლილის წერილებში“, გოროდნიჩისა „რევიზორში“ და ბევრმა სხვამ, არტისტობის სახელი გაუთქვა მთელს რუსეთში და საზღვარ-გარეთაც.

უბედურება ამ არტისტისა ის იყო, რომ თავისის სიცოცხლის უკანასკნელს დროს სულ დაბლა და დაბლა დაიწია, გულ-აცრუებული გამოდიოდა სცენაზედ და იმისი როლის უცოდინარობა ხომ ანდაზად გარდაიქცა.

ანდრეევ-ბურლაკი ამას გარდა სწერდა კიდეც; ნაკითხი კაცი იყო და განათლებული. არა ნაკლებ მოსწონდა იგი საზოგადოებას მაშინ, როცა პატარ-პატარა ამბების მოთხრობას დაიწყებდა ხოლმე სცენაზედ. ეს ამბები ხალხის ცხოვრებიდგან ცხოვლად აღებული სურათები იყო და დიდის სიამოვნებით ისმენდნენ ხოლმე თეატრის მაყურებელნი. ბოლოს ეს ნაწერები განსვენებულმა ცალკე წიგნადაც გამოსცა. ერთს დროს ბურლაკმა ოდესში დაიწყო ლექციების კითხვა დრამატიულს ხელოვნებაზე, ხოლო ამ საქმეს ბოლო ვეღარ მიადევნა და თავი დაანება.

◆

# უცხოეთი

ინგლისი. 8 მაისს დუბლინში დიდი კრება იყო. ამ კრებამ გამოაცხადა, რომ რომის პაპი ირლანდიის საშინაო საქმეებში არ უნდა გაერიოს. კრებაზე დუბლინის ლორდ-მერმა სთქვა, რომ დღევანდელი კრება რამდენადაც უსერიოზულია და საზოგადო, იმდენად პატივსაცემია და საყურადღებოო. „ჩვენ ნება გვაქვს ცხადად გამოვსთქვათ ჩვენი აზრი და მტკიცედ ვიმოქმედოთ ჩვენთა უფლებათა დასაცველად და გასამტკიცებლად, მაგრამ ამასთანავე, სთქვა ორატორმა, ჩვენ კალდებულნი ვართ არ დავივიწყოთ ის ღრმა პატივის-ცემა, რომელიც უნდა გვქონდეს, როგორც კათოლიკებს, რომის პაპის მიმართ. მაგრამ როგორც ჩვენი სარწმუნოებაა დამოუკიდებელი ინგლისისაგან, ისე ჩვენი პოლიტიკაა დამოუკიდებელი რომისაგან (მოისმა ტაშის კვრა). ღმერთმა-კი ნუ ჰქნას და ჩვენში რომ გავრცელდეს ის აზრი, ვითომ ეკკლესიის მღვდლება ირლანდიაში ჩვენის ერის თავისუფლების წინააღმდეგ არის მიმართული, მე მგონია, რომ ის დღე ეკკლესიისათვის ფრიად საშიში დღე იქნება. რა დაემართებოდა ირლანდიის ეკკლესიას, რომ პაპის რესკრიპტი 1815 წელს აღსრულებულიყო და უკან არ მოეთხოვნათ გასაბათილებლად? რა დაემართება კათოლიკეთა ეკკლესიას დღეს, რომ ვინიცობაა ბ-ნმა ბალფურმა (ასტუდა ხმაურობა და ყვირილი ნიშნად უკმაყოფილებისა ამ კაცის ხსენების გამო), — ბალფურმა ძალ-მომრეობის მომხრემ, ბალფურმა ციხის-მწამებელმა, ბალფურმა, რომელსაც არაფერი არა სწამს არც მიწის ქვეშ და არც მაღლა ცაში, არაფერი, თავის უცოდველობის მეტი, — რომ ვინიცობაა ამ ბალფურისათვის მიენდოთ: შენ დანიშნე ხოლმე ეპისკოპოსები ირლანდიაშიო? პატივსაცემელნი მამანი, რომელნიც რომში სხედან, ჰგონებენ, რომ ღალა და იმისი რაოდენობა მამულის პატრონისა და მხვნელ-მთესველის მორიგებით განისწყდება ხოლმე ირლანდიაშიო. იმათ რომ ერთის წლის განმავლობაში მაინც გაეღოთ ეს ღალა, ასე აღარ ილაპარაკებდნენ. ჩვენ ნდობით და მოთმინებით ველოდით და ვნახოთ, როგორ მოიქცევიან ჩვენნი მთავარეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი და როგორ ახსნიან პაპის დეკრეტსა. მთავარეპისკოპოსი უოლში მალე ჩვენ შორის იქნება და ხელმძღვანელობას გაგვიწევს. იმანა სთქვა და მართლადაც სთქვა, რომ ვერას იზამენ ისინი, ვისაც უნდათ სული შეუგრან ირლანდიისაო“.

◆◆

# წვრილი ამბები

პეტერბურგში სასამართლოს ერთის კვირით ციხეში დაუპატიმრებია გადაუწყვეტის ერთის თოთხმეტის წლის ბიჭოსათვის იმის გამო, რომ ამ ბიჭს რამდენჯერ უწმაწური სიტყვით მოუხსენებია გერმანიის იმპერატორ ვილჰელმის გარდაცვალება.

— ქალაქს სეიმურში, ამერიკაში, ნიუ-იორკის გაზეთების სიტყვით, ქ-ნს ფიობე ლინჩის თავის ქალაქის მცხოვრებთა რიცხვი თვრამეტის თვის განმავლობაში შვიდის ადამიანით გაუმრავლებია. 1886 წლის ოქტომბერში ქ-ნს ლინჩს სამი ყმაწვილი ჰყოლია ერთად, ხოლო წარსულს კვირას-კი ორი ვაჟი ჰყოლია და ორი ქალი. დედაცა და შვიდი შვილიც ჯან-მრთელად არიან თურმე.

— კასტანიოლში მამასახლისის ფეხსმძიმედ მყოფი ცოლი, 38 წლის დედაკაცი, დაწოლილა და ექვსი ყმაწვილი ჰყოლია ერთად. ყმაწვილები დაბადებისათანავე დახოცილან.

— საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში ამას წინად მეტად სასაცილო ამბავი მომხდარა. რადიკალთა დეპუტატს დუვილ გალფეს ალუშფოთებია პარლამენტი თავის არა-საკადრისის საქციელით. თუმცა ბევრი უთხოვნიათ, ალუგრძალავთ, დაჰმუქრებიან, დეპუტატს ლაპარაკი არ დაუშლია. ბოლოს პრეზიდენტს გამოუცხადებია, რომ კრება გათავებულიაო, მაგრამ არც ამ ღონის-ძიებას გაუჭრია.

---

ჭებს იმის ცხენისათვის მოევლოთ. მერე ჩაჰკიდა ხელი შვილებს და წავიდა შინ. მისი ცოლი უკან გაედევნა. იმ წუთას მარიამის ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა.

V

ასმათს მეექვსე წელი გაუხდა ქვრივობაში. ათი წელიწადი მეტი სტკბებოდა ცოლ-ქმრობის სიყვარულით, მაგრამ შვილი მაინც არ გაუჩნდა. მაგიერათ დაებადა თუ არა მის ძმას სამსონს ნათელა, მაშინვე ასმათმა ხელში აიყვანა და როგორც ნაშობს შვილს უვლიდა. სამსონის ცოლი ლოგინობაზე ლაავათმყოფდა და ერთს წელიწადზე სული განუტევა. რძლის სიკვდილს შემდეგ ასმათს თავისი სახლი აღარ უძებნია. სულ თავის ძმის სამსონის ოჯახში იყო, მარტო მის ოჯახზე და პაწია ნათელას აღზრდაზე ზრუნავდა. რამდენათაც უფროსი ძმა, როსაფი, სძულდა, იმდენათ უმცროსი ძმა სამსონი ეწყალობოდა და უყვარდა. ხშირად წამოიძახებდა ხოლმე ასმათი გულ-გახეთქილი: „მოიხელა იმ წყეულმა ჩემი ძმა სამსონი. რაც კარგი ადგილები და სადგომები იყო, გაყოფის დროს სულ თვითონ ირგო. სამოსახლოც არ გაუზ არა. სადღაც ღვიძლ-ნადები ძმა არ გაიტანა იმ არ გადასარჩენმა, მე რას დამიძებს ქვრივ-ოხერს და თავიდან მოცილებულს. ჩემი ძმა სამსონი გულკეთილი კაცია და ანგელოზი, მაგრამ არც მეტი გულ-კეთილობა ვარგა. ყველა დაგიბრიყვებს, ზურგზე შეგჯდება. საწყალი ჩემი სამსონი სუსტი ხასიათის არის; არავისი წყენა არ უყვარს. იმიტომაც დაიბრიყვა იმ მხეცმა, არა წმინდამ. ნაფუზვარზე რომ შეედავა, მე ის ყოფილიყავი, თავს გავუხეთქდი. ასე ტყულა-უბრალოთ უნდოდა წაგლეჯა. მაგრამ ვერ მიართვი. სიცოცხლე გაქვს, ჩემს სამსონს ჯგროთ ეუშოვნე მოწმები და დაავდგენინე მოსამართლეს სამსონის სასარგებლოთ განჩინება. როცა სასამართლოდან გამოვიდა როსაფი, მიწის ფერი ედვა. იქვე დამემუქრა, თუ კაცი ვარო, იმ შენს ჩამოჰვარტლულს ქოხს თავზე დაგანგრევო. მეც კარგი ბრაწვები დავაყოლე“.

ცოლის სიკვდილს შემდეგ სამსონს ბევრი აღარ უცოცხლია. მას დარჩა ნათელა სამის წლისა. შეიქნა ყმაწვილი ლიტონი ობოლი. ბევრი ეცადა ასმათი, რომ ნათელას მამულის აპეკუნობა როსაფს არ ჩავარდნოდა ხელში. ამის გულისთვის ქვრივმა სამჯერ მოიარა ქუთაისი, ზესტაფონი და საჩხერე. ნათელას თავის ძიძიანა თან დაატარებდა. ყოველგან თითო არძა მიართვა მთავრობას თავის ძმის როსაფის უსინდისობაზე. იმას სწამებდა ობლის მამულის აფორიაქებას, ცხენის ქურდობას, ავაზაკებთან ამხანაგობას და ვინ იცის, რამდენს რასა? ითხოვდა, რომ ის არამცა და არამც აპეკუნათ არ დაენიშნათ ობლის მამულზე; მაგრამ ყოველმა მისმა წადილმა ამაოთ ჩაუარა. როსაფს ძველითგანვე იცნობდენ და თითო-ოროლა მეგობარი მას ყოველ სასამართლოში ჰყავდა. იგი მაინც დანიშნეს ობლის მამულზე აპეკუნათ. აპეკუნათ რომ დაამტკიცეს, შემდეგ პირველი მისი განზრახვა იყო, ნათელა წაერთმია მამიდისათვის, მაგრამ ვერას ღონისძიებით ვერ მოახერხა. ქვრივი ისეთი გაფთრებული შეიქნა ნათელაზე, როგორც ძუ ლომი თავის ლეკვებზე. ნათელაც ხომ მომეტებულათ ჩაკლული იყო მამიდას გულში. სიკვდილის მეტი ვერა მოჰგლეჯდა - რა მას იმის მკერდზე. ძმის სიკვდილს შემდეგ ასმათი გადმოვიდა ისევ ოჯახში, ნათელა ძიძიანა თან გადმოიყვანა და შეუდგა თავის მივიწყებულის ოჯახის გამოსწორებას. დაძველებულს ორ-თვალიანს ოდას ერთი ოთახი კიდევ მიადგა, ძიძა და ყმაწვილი იქ დააყენა და თვითონაც იქ გაიკეთა საწოლი. ღამით სამს ნაყმევს არ იცილებდა თოფ-იარაღითა. ისინი იქვე დერეფანში წვებოდენ საყარაულოთ. როსაფი ძალიან სწუხდა ამ გარემოებას, მაგრამ თავი ვერსიდგან შემოევლო.

ის იმ კუთხეში ყველაზე შეძლებული მებატონე იყო. ჯერ მამულითაც მეტობდა ყველას და ახლა რაკი თავის ძმის მამულის აპეკუნი გახდა, მიწა-წყალი გაათრკეცა. ვერც იმას ვიტყვი, რომ ცოტა თვალ ხარბიც არ ყოფილიყოს. ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, რომ თავის ადგილები, ზოგი ჩამოჭრილები, ზოგი პარტახები, ზოგი ნავუზვრები და ვერანი მინდვრები, შეუმუშავებლათ არ დარჩენოდა. საზოგადოთ იმ სოფელში გლეხობას ძალიან აკლდა მიწა წყალი. თუ-კი სადმე სამოდოთ *) გასაცემ ადგილებს იშოვნიდენ, ერთმანეთს ეჩხუბებოდენ. ამის გამო როსაფი სხვა მებატონების გლეხებსაც თავისკენ იზიდავდა, რადგან მათზე უფრო იაფათ ეკიდებოდა. სოფელში წესი იყო, ერთი მებატონის გლეხი მეორეს არ მისვლოდა არც ადგილის საქირაოდ, არც ტყის საჭრელად, მაგრამ როსაფი ამ წესს არას დაგიდევდა.

კვირა დღეობით მებატონეები საყდარზე შეიკრიბებოდენ და ნაწირევს სულ როსაფის საყვედურში იყვნენ: გლეხებს გვიბრიყვებსო, თავის ტყეველში იაფათ ურიგდება და ჩვენ აღარ გვემსახურებიანო. როსაფმა იცოდა ეს ამბავი და რომ თავი მოერიდებინა, წელიწადში ორჯერ არ მოისმენდა წირვას თავის საყდარზე. ასმათი სარგებლობდა ამ საზოგადო უკმაყოფილებით და ადგენდა პარტიას ძმის წინააღმდეგ.

ერთ საღამოს ასმათს ჰყავდა ოთარი და მისი ამხანაგები დაპატიჟებული. ახალგაზდა აზნაურები დიდხანს შეექცენ ღვინის სმას. მშრალად მოხარშული ცხვარი, შემწვარი ქათმები, ჩადებული ინდაური და მწვანის ღვინო თავსა სდიოდათ. მასპინძლობა რათ გინდოდა უკეთესი. ყმაწვილებმა კარგათ მოილხინეს. როცა შეღვინიანდენ, ოთარმა დალია ასმათის სადღეგრძელო. იმან მოიხადა ქუდი, ტახტზე დაახალა და წამოიძახა: ასე თავი დაემხვეს შენს მტერს, დედილო!.. ეს სადღეგრძელო ყმაწვილებმაც სიამოვნებით დალიეს.

— გინდა იმ შენს ძმას, როსაფს, თავზე გადავეფუჭრო, ის დიდი ოდა რომ გადმოუჭამაეს? — ჰკითხა თავ-მოწონებით ოთარმა.

— დაწვით ნუ დაწვავ და თუ იმ ანდერძს ჩამიგდებ ხელში, იმან რომ გადამიმალა, — ძალიან დაგიმადლებ. ხომ იცი, მე რომ ნაფუზვარი გადმოგვეცა ბარათით, აი, ის მამამ მედამიტოვა იმ ანდერძით საკუთრად. ამას გარდა თუ დედის ჩემის ნაქონს გულის-ქინძისთავს და იაგუნდის ბეჭედს რამე ნაირათ ხელში ჩამიგდებ, მაშინ იქნები შენ ნამდვილი ჩემი შვილობილი.

— ეს ოთარი მოგიკვდეს, თუ ეს თხოვნა ვერ აგისრულოს. შენ მხოლოთ მითხარი, სადა აქვს ჩამალული?

— ის ნივთები და ანდერძი ერთს მოზდილა გალიქულ ყუთშია ჩაკეტილი. ეს ყუთი ჩემ რძალს მუდამ თავით უდგია. როცა დაწვება, მისი მეუღლეც ის არის და ყურბალიშიცა. ყუთზე ბალიში აქვს მიდებული. ეს კიდევ რა?.. იმ ყუთში როსაფს ბარე ასი თუმნის ქაღალდის ფული უწყვია.

ფულს რომ ყური მოჰკრეს, ოთარის ამხანაგები გამხნევდენ.

— ოთარ, მარჯვეთ იყავი, ჩვენც შენთან ვართ. მოვკვდეთ, ერთად მოვკვდეთ; დავრჩეთ, ერთად დავრჩეთ, — გაამხნევეს ოთარი ყმაწვილებმა.

— ის ასი თუმანი კარგა ხანს გაქვეყნებს, — თქვა ერთმა.

— სიცოცხლე გაქვს, მე ქუთაისის გზით ვნახო, — დაუმატა მეორემ.

— ოჰ, ჰო, ჰოი.. რომ იცოდე, როგორ გავეკინკლები, რა რიგათ მოვეპყრობი ჩემს იარაღს?.. რა იოლღა ცხენს ვიყიდი?.. მერე ამ ჩემს ოხერ სოფელში თვალითაც ველარ დამინახავს კაცი. გადავიკარგები. ბათუმში წაველ და იქ სხვა საქმეს მოვძებნი, — დაიწყო პლანები მესამემ.

— დარდი ნუ გაქვთ, ყმაწვილებო! ყველას გვეყოფა ის ფულები, — დაამშვიდა ოთარმა.

გ. წერეთელი

(შემდეგი იქნება)

*) მოდი — შემოსავალი, იჯარა.

ამის გამო პრეზიდენტს განუზრახავს ქუდის დახურვა,—იქნება ხალხი გონებაზედ მოვიდეს და დაიმალნენო, მაგრამ რადგან თავისი ცილინდრი ვერ უპოვნია, სხვა ვიღასიც ქუდისათვის დაუვლია ხელი და ჩამოუცვამს თავზედ. ქუდი ძალიან დიდის ზომისა აღმოჩენილა, პრეზიდენტს მხრებამდე ჩამოსჩაჩვია და ამ გარემოებას გაუპრია: დეპუტატებს სიცილი და ხარხარი დაუწყიათ და დაშლილან.

— ძლივს ჩვენც მოგვეცემა საშუალება ლითონის თეთრეულში ვიაროთ. ეს თეთრეული-კი გაუძლებს, მგონი, ჩვენის მრეცხავების ათას გვარს წამლებსა, რომელიც მიტკალსა სწვავს და ორს დღეში აიფუშებს. ლიონის ერთს მეფაბრიკეს რაღაც საშუალებით შესაძლებელად დაუნახავს ლითონის მიტკლის ქსოვა, ამ ცოტა ხანში მოამზადებს და გაჭრობასაც დაიწყებს თურმე. ამბობენ, რომ ეს მეფაბრიკე პერანგის მაჯებს, საყელოებს, ყელ-სახვევებს და სხ. ლითონისაგან აკეთებინებსო, არამც თუ ათას გვარის ზომისას, სხვა-და-სხვა ფერისასაც-კი. შეიძლება ამ მხრივ ჩქარა ისე წინ წავიდეთ, რომ თავით ფეხამდე რკინაში ჩაცმულნი ვიყვნეთ და ვიარებოდეთ, ისე, როგორც ჩვენნი მამა-პაპანი იარაღში ისხდნენ.

— გაზეთი „Gaulois"-ი გვაუწყებს შემდეგს ახირებულს ამბავს, რომელიც ამას წინად პარიჟში მომხდარა. ერთს პოლიციელს საჩივრებით თავი მოაბეზრეს თურმე, რომ ვიღაც მარცელინა ნ. ექიმობის ნება არა აქვს და ექიმობს-კი, არჩენს, დიდ-ძალი ავადმყოფები ახვევია თავსაო. პოლიციელი იძულებულს გახდა თურმე მიეწვია თავისთან ეს ახირებული მკურნალი, რომელიც ამასთანავე ძალიან მარჯვედ არჩენდა და ჰკურნავდა თავისს ავადმყოფებს. მიწვეულს მკურნალს გამოუცხადებია, რომ „მე შემიძლიან ვიექიმო, რადგან ექიმის მოწმობა მაქვს; აქამდე სახელმწიფო საავადმყოფოში ვიყავი, ვითარცა ექიმი, მაგრამ შემოსავალი მცირე მქონდა და თავი დავანებე. მეტი ღონე არ იყო, სხვა რაიმე ხელობისათვის უნდა მომეკიდნა ხელი. ამის გამო მეწვრილმანის დუქანი გავაღე და ჩემი მეზობლები დავარწმუნე, რომ რაღაც ბალახ-ბულახებით ვარჩენ-მეთქი ყოველ გვარს სენსა. ეხლა ვაჭრობაც ძალიან კარგი მაქვს, ავადმყოფებიც დიდ-ძალი მახვევია, რადგან მკითხავებზე და უმოწმობო ექიმებზედ ადვილად ვკურნავ ავადმყოფებს, და ამ გვარად დიდ-ძალი ქონებაც შევიძინე. აგერ ათი წელიწადია ვცხოვრობ აქა და ჯერ არც ერთის ჩემის ავადმყოფისათვის არ გამიმჟღავნებია, რომ ნამდვილი მკურნალი ვარ, ექიმობა შემისწავლია, მოწმობა მიმიღია. თუ ღმერთი გრწამსთ, ბ-ნო პოლიციელო, ნუ გამამჟღავნებთ, ნურავის ეტყვით, რომ ექიმობის უფლება მაქვს—mundus vult decipi, ergo decipiatur".

— რომის გაზეთებში ამას წინად გავრცელებულა ხმა, რომ ფინცისა და ბიანკელლის სავაჭრო სახლი კოტრდება, იმდენი ფული აღარა აქვს, რომ თავისი ვალები გაისტუმროსო. ამ ორს ამხანაგს ახირებული საშუალება მოუგონიათ, რათა ეს გავრცელებული ხმა უარეყოთ, გაეცრუებინათ. მეორე დღეს მუშაბანდში, ფანჯრის წინ, დაუდგამთ პატარა კასრი, ოქროს ფულით ლიცლიცად გავსებული,—კასრზედ მიკრული ყოფილა შემდეგის შინაარსის ქაღალდი: «ყველა, ვინც ზათილამდს წარმოადგენს და დაამტკიცებს, რომ ფონცისა და ბიანკელლის ამხანაგობას ჩემი ფული ჭმართებსო, ეს 20,000 მანათი მიეცემაო.

## გასართობი

ვერ იქნა, ვერ მოიშორეს საფრანგეთში ბულანჟე, სწორედ ციციანთ დავა გაუხდათ რაღა. პოლიტიკურადაც რომ არაფერი ვნება მოუტანოს ამ ბედნიერს ვარსკვლავზედ დაბადებულმა გენერალმა, სხვაფრივ მეტად ააწიოკა თავის მამულიშვილთა შინაური ცხოვრება და მშვიდობიანობა. ჯერ ერთი ისა, რომ აგერ უკვე რამდენიმე მაგალითი ყოფილა იმის მიზეზით ჭკუიდგან შეშლისა, ატაცებისა, „ბულანჟიზმით" გადარევისა. აი ეხლა კიდევ მეორე ამბავს ვკითხულობთ გაზეთებში, რომლიდგანაც სჩანს, რომ ბულანჟეს გამოისობით შეყვარებულნი, დანიშნულნი, ახალგაზდანი განცალკევებიან, განშორებიან ერთმანეთსა. ბულანჟე რომ ვალანსიენში ყოფილა, გენერალს წინ გამოჰკვებიან ახალგაზდა ქალები, თეთრს კაბებში ჩაცმულნი. ერთი ქალთაგანი, მშვენიერი და ტურფა პოტერი, მისულა გენერალთან, მიუშვერია ლოყა და უთქვამს:

— მაკოცეთ, მე თქვენ თაყვანსა გცემთ.

გენერალსაც, რასაკვირველია, ცხვირი ზევით არ აუწევია და მადიანად დაუკოცნია. მნახველთა შორის ყოფილა ამ ქალის დანიშნულიც, ქალაქ ვალანსიენის ერთი უწარჩინებულესი მოხელე და ძალიან გამწყრალა, რომ საპოლიტიკო ამბორი მეტად ხანგრძლივი იყოო. გაჯავრებულს ყმაწვილს კაცს მაშინვე ნიშნობის ბეჭედი წაუძვრია ზიზღით ხელიდგან და ქალისათვის უსროლია: მე ჯვარს ვერ დავიწერ ისეთს ქალზე, რომელსაც სხვებთან ტლაშა-ტლუში გააქვსო!

* *

კარგი იქნება, რომ სხვა ქალებმაც იხელმძღვანელონ ხოლმე იმ ქორწინების რეცეპტით, თუ ქმართან მშვიდობიანი ცხოვრება უნდათ,—რომლითაც არაბის ქალები ხელმძღვანელობენ. როცა არაბი ახალგაზდა ქალს ათხოვებს, აი დედა რა დარიგებას უკითხავს თავისს გზაზედ დამდგარს შვილსა: „შენ ეხლა თავს ანებებ იმათ, რომელთაგანაც დაიბადე და იზრდე; თავს ანებებ იმ ბუდეს, რომელშიაც იყავი შევრდომილი და შეფარებული გქონდა თავი; ჰფრინდები იქიდგან, რათა ცხოვრება ისწავლო, გემო გაიგო ცხოვრებისა. მიდიხარ იმ კაცთან, რომელსაც არ იცნობ, და იმ ხალხში, რომელიც უცხოა შენთვის, არ გიცნობს, არ იცნობ. გირჩევ, რომ ამ კაცს დაემონო, თუ გინდა, რომ ისიც თავის მხრივ შენი მორჩილი მონა იყოს. მცირეთი დაკმაყოფილდი. თვალი მჭრელად და ყური მახვილად გქონდეს, რომ იმისმა თვალმა ცუდი საქციელი არა დაინახოს-რა. თვალყური ადევნე იმის საჭმელს, იმის მოსვენებასა და ძილს; შიმშილი და უძილობა ადამიანს ცუდ, ავ გუნებიანად ჰხდის. იზრუნვე იმის საკუთრებაზედ, ქონებაზედ; ტკბილად მოეპყარი იმის მახლობლებს. მუნჯი გახდი იმის საიდუმლოსათვის; როცა ის მხიარულია, დაღონებას, გაჭავრებას ნუ შეიმჩნევ; როცა ის დაღონებულია, თავს მხიარულად ნუ აჩვენებ, და ალლახის მიერ იქმნები კურთხეულ".

## დეპეშა

19 მაისი

პეტერბურგი. განზრახვა აქვთ, რომ ბუხარაში დაარსდეს სახელმწიფო ბანკის განყოფილება.

ვენა. იმპერატორმა ფრანც-იოსებმა პოლკოვნიკობა უბოძა დიდს მთავარს პავლე ალექსანდრეს ძეს, როტმისტრს ულანთა პოლკისას, რომელსაც ეწოდება იმპერატორის ალექსანდრე მეორეს სახელი.

მთავრობამ წარუდგინა ავსტრიის რეიხსრატის დეპუტატთა პალატას კანონ-პროექტი იმის თაობაზე, რომ დაედოს დასამატებელი ბაჟი მაგარ სასმელებსაო. ამ კანონ-პროექტში ნათქვამია, რომ რადგან კანონით არაყს ბაჟი ადევს, დასამატებელი ბაჟი დაედოს სამზღვარ-გარეთიდამ მოტანილს მაგარს სასმელებსაცა ამ პროექტის გამოქვეყნების დღიდამ 1888 წლის აგვისტოს დამლევამდეო. რაოდენობით 36 გულდენი.

რომი. დაინიშნება ცალკე კომისია, რომელმაც უნდა შეისწავლოს ზღვის ნაპირების დაცვის საქმე. რაც ღონის ძიება საჭირო იქნება ამ საქმისათვის, იმას ნოემბერში წარუდგენენ პარლამენტს.

პეტერბურგის ბირჟა, 17 მაისი

| | მყიდველნი | გამყიდველნი | გარიგება |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — „ | — „ | 9 50 |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 189 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | — „ | — „ | 1 40 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | 272¼ | — „ | — „ |
| —მეორისა | 243½ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | 98½ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | 98½ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | 83½ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.
მაისი 31 დღით არის.

20 დღე პარასკევი. ღირსისა დოდო გარესჯელისა. კათოლ. ბერნარდინასი. მუსულ. მე-22 რიცხვი თვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—29. მთვარე 22 დღისაა.

21 დღე შაბათი. მოციქულთა სწორისა მეფე კონსტანტინესი და ელენესი. კათოლ. ვიქტორიასი. მუსულ. მე-23 რიცხვი თვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—29. მთვარე 23 დღისაა.

22 დღე კვირა. წამება ვასილისკასი. კათოლ. იულიასი და ელენესი. სომხ. წმ. ჯვარის გამოჩენა იერუსალიმში. მუსულ. მე-24 რიცხვი თვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—30. მთვარე 24 დღისაა.

23 დღე ორშაბათი. ღირსისა მიხეილისა და ევფროსინესი. კათოლ. ფრესცენციასი. მუსულ. მე-25 რიცხვი თვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—30. მთვარე 25 დღისაა.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სამზოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით, ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით, რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

კვირაობით, საღამოზე, და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდი პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ სადგურებისაკენ, ხოლო თუ საჭირო რამ, ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანაოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.


# განცხადებანი

ორშაბათს, 23 მაისს,
ბ-ნ აღნიაშვილის ქართული ხორო ქართულის დრამატიულის დასის არტისტების დახმარებით გაჰმართავს პირველად პირველ ქართულ ფეერიას:

## ყარამანი

გადაკეთებული ხალხურის ყარამანიანიდგან სამს მოქმედებად და თერთმეტ სურათად.

სურათი 1. ყაფის დევთაგან ყარამანის მიწაზე ჩამოშვება; ექვს ფეხოვანის და ალმასის რქიანი რაშის გამოვარდნა.
სურათი 2. უშანგ შაჰისა და რაჰინდ ინდოეთის მეფის ბრძოლა; ყარამანისა და სარვიხურამანის ერთად შეყრა და გაარშიყება.
სურათი 3. ყარამანისა და სარვიხურამანის შეუღლება.
სურათი 4. ყარამანისაგან ყარუნ ხელმწიფის ჯადოთ დარღვევა და შამბასარ დევის მოკვლა.
სურათი 5. ბრძოლა ბალიირანის მეფისა, შაჰპალი ფერიისაა, აქვალ დევის ლაშქართან.
სურათი 6. შველა ყარამანისაგან ზორაბ ხელმწიფის შვილისა და ანყაფუზ დევის დამორჩილება.
სურათი 7. მისვლა ყამარანისა თეთრის დევის სასახლეში და თეთრის დევის მოკვლა.
სურათი 8. ბრძოლა ყარამანისა ზღვათა მეფესთან და ყარამალუხ დედოფლის განთავისუფლება.
სურათი 9 ჯადოთაგან უშანგ-შაჰის მოჯადოვება.
სურ. 10. ბრძოლა უშანგ-შაჰისა ოჭყალი ჯადოსთან და 30 მოწინააღმდეგე მეფეებთან; ყარამანის მოშველება.
სურ. 11. უშანგ-შაჰის მიცვალება და ანდერძი.

ამ ფეერიისათვის განგებ დამზადებულია ახალი ტანისამოსები, ზოგიერთი ახალი დეკორაციები და ყოველის სურათისათვის ახალი მუსიკა ბ-ნ ბალანჩივაძისა.

ქართულს ხოროს ექნება 12 სხვა-და-სხვა სასიმღერო ნომერი.

ორკესტრი დაუკრავს ბ-ნის ბალანჩივაძის პოპურრს და სრულიად ახალს „ფანტაზიას" მისსავე.

მონაწილეობას მიიღებს 180 კაცი.
დადგმა ფეერისა დაჯდება 1,000 მან.
(4—3)

### ტფილისში

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიის წიგნთ-საწყობში ისყიდება

მ. ჯანაშვილის მიერ

შედგენილი წიგნები:

ა) საქართველოს საეკკლესიო ისტორია (ფასი 45 კ.);
და ბ) საქართველოს მოკლე ისტორია (სამი აბაზი).

შენიშვნა. უკანასკნელი გამოცემა საერო განათლების სამინისტროსაგან „მოწონებულია იმ სასწავლებელთათვის, რომლებშიაც ასწავლიან ქართულს ენას" (სამინ. მოხს., 24 ოქტომ. 1884 წ., № 6037).

### წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 110)

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სწორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, პ. კაიტანიძისა | » | 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 | 50 |
| II ნაწ. | 1 | 50 |
| ბუნების მოვლენანი, ს. მესტიაშვილისა | „ | 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის" გამოცემა | „ | 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ | „ | 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ | 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 | „ |

### კანცელარია და წიგნთ-საწყობი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა იმყოფება ახალს სადგურში, სათავად-აზნაურო ბანკის ქარვასლაში, თეატრის გვერდით, №№ 109 და 110. წიგნთ-საწყობი ცალკე არის მომართული. წიგნთ-საწყობში ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნი და სასახელმძღვანელოები. ვინც ქალაქს გარედ წიგნს ან სახელმძღვანელოს დაიბარებს, დაუყოვნებლივ გაეგზავნება, მხოლოდ ფოსტის ხარჯი-კი მყიდველმა უნდა გადაიხადოს. კანცელარია და წიგნთ-საწყობი ღია იქნება, გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 9 საათიდამ საღამოს 8 საათამდე. ვისაც კანცელარიასთან, ან წიგნის-საწყობთან რაიმე საქმე ექნება, ამ ადრესით უნდა მოჰმართონ: Тифлисъ. Въ канцелярію (ან книжный складъ) общества распространенія грамотности, Дворцовая ул., Караванъ-Сарай Земел. Банка, №№ 109 и 110.
(50—18)


Доз. ценз. Тифлисъ, 19-го мая 1888 года. Типографія „Кавк. Обозр." (Н. И. Френкель) რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე